შაბათი, 22 აგვისტო 1907 წ. — ისარი — წელიწადი პირველი — № 183

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. იბეჭდება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები, [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, [illegible] გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»


„ისარი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ზვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

**თავადი ნიკოლოზ გულბაათის ძე ჭავჭავაძე** უწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 25 აგვისტოს, დაუვიწყარ მეუღლის

კნეინა დარია ალექსანდრეს ასულის ჭავჭავაძის

გარდაცვალების წლის თავზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი წინანდლის წმ. გიორგის ეკკლესიაში (თელავის მაზრა, სოფ. წინანდალი). (1—257—1)

---

# „ფუნიკულიორის"
# რესტორანში

ყოველ-დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. ა. სანოროს ლოტბარობით. (20—193—19)

---

## ტფილისის წვრილ ვაჭართა საყურადღებოდ

**კანტორა** ტფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოებისა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე (დვორცოვი) ტფ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში № 153. კანტორა ღიაა ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 დან ორ საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

ვისაც საწევრო ბილეთი არა აქვს მიღებული, ვთხოვთ, მობრძანდნენ და მიიღონ. მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ მერკვილაძე. (3—256—1)

---

ვალერიან გუნიას რედაქტორობით და გამომცემლობით

**ყოველ-კვირეული მხატვრობითი ჟურნალი**

26 აგვისტოს გამოვა **ნიშადური** კარიკატურებით

პროგრამა

2) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები. 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარ-გარედ 3) ფელეტონები ლექსად თუ პროზად თანამედროვე ჭირ-ვარამზე. 4) სცენები, იგავ-არაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე. 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 6) ილიუსტრაცია—სურათები გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა, ნახატები. 7) კარიკატურები დღიურ ჭირვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე 8) განცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

**ფასი:** წლით 5 მან. $1/2$ წლით 3 მან., **ცალკე ნომერი 10 კაპ.**

**ხელის მოწერა** ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წესწყობილების გამო ჟურნალის ბედ იღბალი გამოურკვეველია.

საჭირონი არიან

**პროვინციიდან პირიანი აგენტები და შხამიანი თანამშრომლები**

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია**

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Валеріану Гунія. რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ. № 9 ვერაზე.

---

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილი ს 9—11$1/2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

---

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—165)

---

# სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

**მიდება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.**

**მაჩაბელი ალექსანდრე:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ა. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ა. გ. პეტროსოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კამენსკი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 60 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—99)

---

ექიმი
**ე. ბაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—22)

---

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

**ელექტროთერაპიული**

# კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—15)

---

ხონის სამოქალაქო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 31 აგვისტოს, 1907 წ. დილის თერთმეტ საათზედ დაბა ხონში, ამავე სასწავლებლის შენობაში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება: მოსწავლეთა საჯდომი სტოლები (პარტები)—124, საკლასო დაფები—6, სტოლები, სასტოლერო დაზგები და ჩარხი, სხვა და სხვა მიწის დასამუშავებელი და სადურგლო იარაღები, ქესტის ფეჩები, მილები (ტრუბები) და სხვა და სხვა საოჯახო ნივთები. (3—6.—3)

---

ფოთის ქალთ

# პროგიმნაზიის

სამზრუნველო საბჭო ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1 სექტემბრიდან ფოთის ქალთა პროგიმნაზია გადაკეთდება გიმნაზიად და გაიხსნება მეხუთე კლასი.

თხოვნებს საჭირო ქაღალდებით მიიღებს გიმნაზიის უფროსი 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

ეგზამენები დაიწყება 24 აგვისტოდან. (1—6.—1)

---

ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

ატყობინებს იმ მემამულეთ, რომელთაც ადგილები აქვთ ტფილისთან შემოერთებულ „ვაკეში", რომ აკრძალულია იქ ყოველგვარ შენობის აშენება, რათა ზემოხსენებული ადგილი წეს-რიგოდ არ გაშენდეს. მემამულენი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ წარმოადგინონ გამგეობაში გეგმები მიწების მოწყო-რიგებისა მათ დასამტკიცებლად. (1—6.—1)

---

# ჩვენი მწერლობა
**ნაწ. I: მგოსნები.**

ბიოგრაფიებით და ლექსიკონით.

შედგენილ-გამოცემული

**ს. რ. გორგაძის მიერ.**

ფასი უყდოთ **ათი შაური**. იყიდება „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა) და შემდგენელთან: ტფილისი, ვერა, არგვის ქუჩა № 8, ეგაძის სახლი.

ფოსტა-ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ, Арагвинская улица № 8, Сергѣю Романовичу Горгадзе.

წიგნის მაღაზიებს წიგნი ეძლევათ ჩვეულებრივის 20%-ის დათმობით.

იმიერ საქართველოში ამ წიგნის გაყიდვა მინდობილი აქვს ბ-ნ **ისიდორე კვიცარიძეს:** Кутаисъ. Книжн. магазинъ „Имеретія". (10—6.—9)

---

**ფოთის** ლაკლათის დედათა მონასტრის ორკლასიან საქალებო სამრევლო სასწავლებლის საბჭო ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში სწავლა სწარმოებს უფასოდ, განსაკუთრებითი ყურადღებაა მიქცეული ხელსაქმეზე მისაღები ეგზამენი დაიწყება პირველ სექტემბერს.

პატივისცემით მღვდელი **პეტრე ბაკურაძე.** (3—6—3)

---

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი წიგნი:

**ივ. ჯავახიშვილი**

საქართველოს ეკონომიური ისტორია

ფასი 40 კაპ.

საწყობი „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში. Тифлисъ. Общество грамотности. (3—6—3)

---

**დ**ირექტორი საკომერციო სასწავლებლისა. გამგე **მანთაშევის სავაჭრო სკოლისა**, აცხადებს, რომ სკოლა მოთავსდება კომერციულ სასწავლებლის შენობაში და მისაღები საკონკურსო გამოცდა მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში მოხდება 27 და 28 აგვისტოს. თხოვნის შემოტანა და საჭირო ცნობების მიღება სკოლის შესახებ შეიძლება კომერციულ სასწავლებლის კანცელარიაში (10—231—8)

---

ქალაქ ტფილისში მცხოვრები

**კატო გაბრიელის ასული როგავა**

აცხადებს მკითხველთა საყურადღებოდ, რომ იგი ხსნის ქალების სამ კლასიან

პროფესიონალურ ჭრა-კერვის სკოლას.

სწავლა იწყება ოცდა ხუთ აგვისტოდან. მსურველს შეუძლია პირადი მოლაპარაკება ათ საათიდან ორ საათამდის. ადრესი: მეათე ნაწილი, გოგოლევსკის ქუჩაზე, № 53. (5—254—2)

---

დაიბეჭდა და მალე გამოვა **ივ. გომელაურის-მიერ** შედგენილი

სკოლებში შესასწავლი

# ქართველი მწერლები

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

**მეორე** გამოცემა შევსებული და შესწორებულია. (5—6—4)

---

**ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე** აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან ყმაწვილები შვიდიდან ცხრა წლამდის, დაიწყება 10 სექტემბრიდან; ამავე რიცხვიდან დაიწყობა ხელმეორე გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა. (8—6.—2)

---

## ტფილისი, 22 აგვისტო

გუშინ ტფილისს დაბრუნდა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. მაშასადამე, ვერ გასჭრა „ჭეშმარიტ რუსთა" მედგარმა აგიტაციამ და გრაფი ისევ გამარჯვებული გამოვიდა. „ნოვ. ვრ."-ამ „რუსსკ. ზნ."-ამ და სხვა ამგვარ რეაქციონურმა გაზეთებმა, რომელნიც უეჭველია მაღალ სფერების და ბიუროკრატიის ნაწილის შეხედულებათა გამომხატველნი არიან, არაფერი არ დაზოგეს, რათა კავკასიის ნამესტნიკის პრესტიჟი დაეცათ და მისი გამოუსადეგრობა დაემტკიცებინათ; მაგრამ ვერას გახდნენ. რას უნდა მივაწეროთ, რომ უმაღლესი მთავრობა, რომელიც ბოლო დროს ყურადღებით ეკიდება უკიდურეს მემარჯვენეთა მოთხოვნათ, ამ შემთხვევაში ყურსაც არ იბერტყავს? ეს ჩვენთვის იმდენადვე გაუგებარია, რამდენადაც გაუგებარია ის გაშმაგებული ბრძოლა, რომელიც რეაქციონერებმა აუტეხეს გრაფს. „ნოვ. ვრ." ამ დღეებში მწარედ დასცინოდა, თუ არა ვცდებით, ტამბოვის მხრის ახლად გაჩენილ მემარჯვენეთ, რომელთაც თურმე **გრინგმუტი** მიაჩნიათ დიდ ლიბერალად. ჩვენის ფიქრით, თვით „ნოვ. ვრ." არის ღირსი ამნაირივე დაცინვისა, როცა კავკასიის ნამესტნიკს უკიჟინებს ლიბერალობასა და „რუსის საქმის" უღირსად წარმოებას... მაგრამ თავი დავანებოთ ამ ჩვენთვის გაუგებარ „ნედორაზუმენიე"-ს და საქმე სხვა მხრიდან გავსინჯოთ.

რას უნდა ნიშნავდეს და რას უნდა მოასწავებდეს ნამესტნიკის დაბრუნება კავკასიაში? მან წარადგინა მთელი რიგი რეფორმებისა, რომელნიც აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია და რომელთაც დაგვპირდა ამ ორი-სამი წლის წინად. ეს რეფორმები პეტერბურგს უკვე განიხილეს წინასწარად და ამზადებენ სახ. სათათბიროში წარსადგენად. უნდა ვიგულისხმოთ მაშასადამე, რომ იქ მოუწონებიათ გრაფ ვორონცოვ დაშკოვის განზრახვანი და უცვლელად წარადგენენ დასამტკიცებლად. წინაამდეგ შემთხვევაში ნამესტნიკი აღარ დაბრუნდებოდა კავკასიაში. ამ მხრით ნამესტნიკის გამარჯვება „ჭეშმარიტ რუსებზე" აღსანიშნავია როგორც ნამდვილი გამარჯვება, რადგან, რაც უნდა იყოს, ერობა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გლეხთა დროებით ვალდებულების გაუქმება, უნივერსიტეტის დაარსება და სხვა ამგვარი რეფორმა-განზრახვანი სახელმწიფო მოღვაწის პროგრამას წარმოადგენენ და არა იმ სიგიჟეს, რომელსაც „ჭეშმარიტი რუსები" ქადაგობენ: „კრეპკი კულაკ"-ს და „ინოროდცების" სისხლის დაღვრას...

თვით რეფორმებზე ჩვენ უკვე ვთქვით ჩვენი აზრი და და აქ აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ არ ვაზვიადებთ მათ მნიშვნელობას და, პირიქით, პესსიმისტურად ვუყურებთ ბიუროკრატიის ამ ახალს ნაბიჯსაც. რუსეთის ბიუროკრატიის ხანგრძლივმა ისტორიამ გვასწავლა, რომ იმის ხელიდან ყოველი რეფორმა ან სრულებით დამახინჯებული გამოდის ან, უკეთეს შემთხვევაში, საგრძნობლად ფრთა შეკვეცილი. ახლაც უკეთესი ნაყოფი მოსალოდნელი არაა, თუმცა, სამწუხაროდ, გადაჭრილს ვერას ვიტყვით, რადგან ყველა ხსენებული რეფორმები კანცელარიის საიდუმლო ლაბარატორიებში გამოცხვა და საზოგადოებამ არაფერი არ იცის მათ ღირსება-ნაკლულევანებაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმეს არაფერი დაუშავდებოდა, პირიქით, მოგებულიც იქნებოდა, თუ დამზადებულ პროექტებს სავსებით გაიგებდა საზოგადოება და პრესსა და კრიტიკულად განსჯიდა მათ. მეორე განაპირა ქვეყანაში, ბალტიის მხარეს, ბიუროკრატია ახდილად, მცხოვრებთა და პრესის წარმომადგენლების დასწრებით არჩევს რეფორმათა პროგრამას, მიუხედავად იმისა, რომ იქაური მმართველი უმღრესი რეაქციონერია და „ჭეშმარიტი რუსნი" მას არა თუ არ სდევნიან, პატივსაც სცემენ და აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ იქ დამზადებული პროექტები ბევრად ჩამოუვარდებიან კავკასიის ნამესტნიკისას. იქნება ახლა მაინც, ე. ი. შედგენისა და სადაც ჯერ არს წარდგენის შემდეგ, დაინახოს რეფორმათა ინიციატორმა შესაძლებლად მათი გამოქვეყნება და პრესის მიერ თავისუფლათ განხილვა.

---

## საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი შტუტგარდტში

20 აგვისტოს კრებაზედ, რომელსაც დაესწრო სულ 886 წარმომადგენელი 25 ქვეყნიდან, სხვათა შორის, ორი საყურადღებო საკითხი იქმნა განხილული: კოლონიალური პოლიტიკა და სოციალისტურ პარტიათა დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირებთან.

საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ კრებას წარმოუდგინა ორი რეზოლიუცია, ერთი კომისიის უმრავლესობისა, რომელიც პრინციპიალურად აღიარებს კოლონიალურ პოლიტიკის წარმოებას, მეორე უმცირესობისა, რომელიც სრულიად უარჰყოფს ყოველსავე კოლონიალურ პოლიტიკას. კომისიის მომხსენებელი ბელგიელი ვან-კოლი იცავდა ამ პოლიტიკას და ამბობდა, სოციალისტები უნდა ეცადნენ, რომ მთელი დედა-მიწა კულტურულად დამუშავებულ იქმნას და ერთი ნაჭერიც არ დაიკარგოს კაცობრიობისათვის. თუ კოლონიებიდან მოტანილი პროდუქტები არ იქმნა შრომაში ხმარებული, თანამედროვე ინდუსტრია დაიღუპებაო. ამისათვის სოციალისტებმა უნდა მხარი დაუჭირონ კოლონიების საქმეთა რეფორმებს და მათში თავის პროგრამის გატარებას. ასეთივე აზრი გამოსთქვეს დოქტორმა დავიდმა, ედუარდ ბერნშტეინმა, ინგლისის პარლამენტის წევრმა მაკდონალდმა და სხვებმა. კომისიის უმცირესობა-კი მხურვალედ ეწინააღმდეგებოდა კოლონიალურ პოლიტიკას და ამტკიცებდა, რომ პროლეტარიატი იბრძვის კოლონიალურ ბატონობის გაფართოების წინააღმდეგ, რადგან იგია უმთავრესი წყარო ომიანობის წარმოშობისაო. კაპიტალისტური კოლონიები სრულიად არ უწყობს ხელს მუშა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობას, ის არის მხოლოდ კაპიტალისტთა პრივილეგია. საკოლონიო მეურნეობა ნიშნავს აგრეთვე კოლონიების განძთა გატაცებას, ადგილობრივ მცხოვრებთა მოსპობას, ან განადგურებას, თვით კაპიტალისტების აზრთა და გრძნობათა გაველურებას. ამავე აზრისანი იყვნენ გერმანელთაგან ლედებური და კაუტსკი, ფრანგი ბრაკე, პოლონელი კარსკი და სხვ.

კონგრესმა ხმის უმრავლესობით (127—108) მიიღო უმცირესობის რეზოლიუცია.

სოციალისტურ პარტიისა და პროფესიონალურ კავშირების ურთ-ერთ დამოკიდებულების გამოსარკვევად არჩეულს კომისიაში მოჰყვნენ: გერმანიიდან —ლეგინი, ფანკუხი, შმიდტი და კაუ

სკი; საფრანგეთიდან—რენოდელი, ანდრე და ლოტიე; ავსტრიიდან—ჰენრიხ ბერი; დანიიდან — ოლსენი; ბელგიიდან—დე-ბრუკერი; რუსეთიდან — რუბანოვიჩი, პლეხანოვი და ვოინოვი. დე ბრუკერმა მოითხოვა პროლეტარიატის პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციის ერთიანობა, სოციალიზმის აღიარება თანაბრად პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლის საფუძვლად, რაიცა უარჰყოფს პარტიის გამოყოფას კავშირებიდან.

ალმასის მომუშავეთა კავშირის წარმომადგენელმა მიუგო ბრუკერს და განაცხადა, რომ მისი ამხანაგები არ შედიან პარტიაში იმიტომ კი არა, ვითომ სოციალიზმისა ეშინოდეთ, არამედ იმიტომ, რომ პარტიები მეტოქეობას და განხეთქილებას შეიტანენ თავისუფალს კავშირებში.

ჰენრიხ ბერი იცავდა ნეიტრალიტეტს და ამტკიცებდა, რომ პარტია და კავშირები ადგიან ერთ მეორისაგან განსხვავებულს მეთოდს ბრძოლისას და სხვა და სხვა გზით მიდიან საერთო მიზნისაკენაო.

ლოტიე იცავდა ფრანგულს რეზოლიუციას, რომელიც თხოულობდა კავშირების სრულს დამოუკიდებლობას. კაუტსკი მიემხრო ბელგიურს რეზოლიუციას, გამოთქმულს ზემოხსენებულ დე-ბრუკერის სიტყვაში. ლეგინი, გერმანელ სოციალისტების ჩვეულებისამებრ, გაბრაზებით ეცა ფრანგულს რეზოლიუციას და ბრძნულად ურჩია ფრანგებს, მიანებეთ თავი საყოველთაო გაფიცვის ზღაპარსა და საქმე გააკეთეთო. ხოლო რაში მდგომარეობს გერმანელ სოციალისტების „საქმე“, ეს ყველამ უწყის. ლეგინს წესი აუგო მხურვალე და ძლიერად დასაბუთებულს სიტყვაში ფრანგმა რენოდელმა და ნიჭიერად განმარტა საყოველთაო გაფიცვის საჭიროება პროლეტარიატისათვის.

კონგრესის მიერ მიღებულ იქნა ბერისა და დე-ბრუკერის რეზოლიუცია პლეხანოვის შესწორებით, რომელიც აღიარებდა პროფესიონალურ კავშირების დამოუკიდებლად მოქმედებას იმ ქვეყნებში, სადაც პარტიათა გაერთიანება ჯერ არ მომხდარა, (როგორც, მაგალითად, რუსეთში) ურომლისოდაც შეუძლებელია კავშირების შეერთება პარტიებთან.

## ახალი ამბავი

✦ **გაზეთის დაკეტვა.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, 20 აგვისტოს, ღამის 11 საათზე, დაიხურა ქართული გაზეთი „ჩვენი სიტყვა“. გაზეთი თითქმის დაბეჭდილი იყო და მზადდებოდა პროვინციაში გასაგზავნად, მაგრამ რამდენიმე ათასი ცალი პოლიციამ წაიღო.

✦ **ნამესტნიკის დაბრუნება.** გუშინ დილის მატარებლით პეტერბურგიდან დაბრუნდა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. სადგურზე ნამესტნიკს მოხელეები დახვდნენ. ქუჩაში, სადაც ნამესტნიკს უნდა გაევლო, ორივე მხარეს ჯარი იდგა.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** ხოგი ჭირი მერგებულიაო, ნათქვამია. ხოლერის მოლოდინში ტფილისის ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებანი მხნედ შეუდგნენ ქალაქის ქუჩებისა, მტკვრის ნაპირებისა და არხების გასუფთავება-დაწმენდას. უბნის სასანიტარო მზრუნველებსაც დაევალათ მხნედ იმოქმედონ. სახლის პატრონები დიდ რიგება-დალაგის მოლოდინით თავიანთ ეზო-გარემოს დასუფთავებას შეუდგნენ.

✦ **ქართველ სპარსელების წასვლა.** გუშინ, 21 აგვისტოს, საღამოს სამგზავრო მატარებლით ტფილისიდან სპარსეთში დაბრუნდნენ სპარსელი ქართველები ყ. ონიკაშვილი და ყ. ხუციშვილი, რომელთაც 7 თვემდე დაჰყვეს საქართველოში, გაიცნეს ჩვენი ცხოვრება, დაათვალიერეს ქალაქ-სოფლები და შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა. კვირას, 19 აგვისტოს, მათ სადილი გაუმართეს. სადგურზე ბევრმა გააცილა. რამდენიმე კაცი ბაქომდეც გაჰყვა. მგზავრებს აზრადა აქვთ, ბაქოშიაც გამართონ სალიტერატურო დილა.

✦ **სომეხ-თათართა ურთიერთობის გამწვავება.** თათრებსა და სომხებს შორის, როგორც „ზაკ.“ გვატყობინებს, კვლავ მწვავდება თურმე ურთიერთობა. რაღაც ყრუ მითქმა-მოთქმაა ამ ორ ხალხს შორის. ასეა, გაზეთის სიტყვით, მაგალითად, ბაქოსა და განჯის გუბერნიის ზანგეზურის მაზრაში.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან: პერმის გუბერნიაში ორის წლით სიღნაღის მაზრის მცხოვრები ერასტი გოგილია—აღმოაჩნდა რევოლვერი; იმავე გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—პოლოს პეტრუსოვი—უპოვნეს რევოლიუციონერთა კვიტანციები და ამას გარდა ჰბრალდება მუქარით ფულის წართმევა. ტფ. გუბერნიიდან იგზავნებიან: მ. კალუსტიანცი, ივ. დურნევი და ბ. კეთენჯიანცი. რევოლვერის ტარებისთვის ორის თვით დააპატიმრეს დიმიტრი მახნიაშვილი. 25 მანეთით დააჯარიმეს სახლის პატრონები დ. ღმინოვი და ალელოვი.

✦ **კიდევ სროლა განჯაში.** განჯაში საქმე არა სცხრება. უკვე ვწერდით, რა სროლა მოხდა ამას წინად, მოკლულ კაზაკის დასაფლავების დროს. კიდევ მომხდარა ასეთი ამბავი 20 აგვისტოს, როგორც იტყობინება სააგენტო და რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, კაზაკისთვის, რომელიც ხაზინადარს ახლდა, სომეხთა ნაწილში სროლა აუტეხიათ. მოუკლავთ მისი ცხენი. მერე მოსულა ჯარი, ალყა შემოურტყამს სომხის ნაწილისთვის და შესდგომია ჩხრეკას. სომხები ძალზე შეშინებულან.

✦ **დაჭრა** 17 აგვისტოს ბათუმში, „კ.-ბ“-ს სიტყვით დაუჭრიათ აჭარის სანაპირო არტელის სტაროსტა მამედ-ბეგ აბაშიძე. საქმე საღამოს 8 საათზე მომხდარა. ვიღაც უცნობს ზებუთი დაურტყამს აბაშიძისთვის მხარსა, მკერდსა და ფეხში და მერე გაქცეულა. აბაშიძეს ამოუღია რევოლვერი, სამჯერ უსროლია და დაუჭრია ულაზი. ის მაინც გაქცეულა. აბაშიძე დადევნებია, დაუჭერია და პოლიციისთვის ჩაუბარებია. აბაშიძის ჭრილობები მსუბუქი გამოდგა.

✦ **ქუთაისის ბანკის მმართველი.** დანამდვილებით გვეუწყება, რომ სამინისტროს ნება დაურთავს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებისათვის, არჩიოს ბანკის მმართველი როგორც მკითხველებმა იციან, რამდენიმე წელიწადია, მმართველად არჩეულ კაცის მაგიერ, ბანკის წესდების წინააღმდეგ, მთავრობისაგან დანიშნული მოხელე იყო.

✦ **ქართულ გიმნაზიაში.** ქართულ გიმნაზიაში, შენობის მოუმთავრებლობის გამო, გამოცდა წელს გვიან დაიწყება. გამოცდა მოსწავლეებისა დაიწყება 10 სექტემბერს და გსტანს 15 სექტემბრამდე. სწავლა-კი 15 სექტემბრიდან არის განზრახული. წელს პარალელური განყოფილებანი გაიხსნება მე—6 და 7 კლასებში.

✦ **ფულის დალევა.** ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორის მოხელეებს აქვთ დამხმარებელი კასა, საიდანაც მცირეს სარგებლით მოხელეებს ფული გააქვთ. წინათ კასირად არჩეული იყო ალექსი დავითაშვილი, შემდეგ აარჩიეს დოლაქიშვილი. ამ დღეებში კასას მოხელეთა მოთხოვნილებით რევიზია გაუკეთეს და აღმოჩნდა, რომ წინანდელს კასირს დავითაშვილს 511 მან. დასდებია, ხოლო დოლაქიშვილს—21 მან. როცა დავითაშვილს შეეკითხნენ ამ ფულის შესახებ, მან განაცხადა, რომ ფული კასის ჩაბარების დროს დოლაქიშვილს გადავეციო. საბუთი კი არსად სჩანს.

✦ დღეს, 22 აგვისტოს, საღამოს 7 საათისთვის, დანიშნულია კრება ტფ. ქალაქის სასანიტარო კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს მიმდინარე საკითხები.

✦ 20 აგვისტოს შუა ბაზარში მოქალაქეებმა დააპატიმრეს ძმანი სანდრო და ივანე სოკოლოვები რომელნიც ვითომ ხალხის ფულს სჭრიდნენ ჯიბეებს შორის.

✦ 20 აგვისტოს, ოდეს ქუჩაზე, გაჩხრიკეს ბედეგან ს(ს)ირტლაძის დუქანი. დუქანში მუშა ვასილ უთმელიძეს აღმოაჩნდა სმიტ-ვისონის სისტემის რევოლვერი. უთმელიძე საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

✦ ახალ-არსენალის ქუჩაზედ 20 აგვისტოს, საღამოს 11 საათზედ, ჩხუბი მოუვიდათ ზურაბ ზულიევსა და სტეფანე კოშკოვს. ამ უკანასკნელმა დანით დასჭრა ზულიევი. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 20 აგვისტოს მუხრანის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა სამჯერ რევოლვერი გაისროლა და მიიმალა. არავინ დაჭრილა.

✦ არკადის შესახვევში 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ, ალექსანდრე გლებოვმა რევოლვერი დაირტყა თავში და დაიჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 20 აგვისტოს ნიკოლოზ ბალდასაროვის სახლიდან (ვახტანგოვის ქუჩაზე) ქურდებმა მოიპარეს 293 მანეთის ნივთები.

✦ „კონტინენტალის“ სასტუმროდან 20 აგვისტოს ალექსანდრე ივანოვს 30 მან. ვერცხლისა და ოქროს ნივთები წაუღია. ივანოვი დაუპატიმრებიათ; დანაშაულში გამოტყდა და მოპარული ნივთები უკანვე დაუბრუნა პატრონს.

✦ 20 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ნაძალადევში, ბასეინის ქუჩაზედ გიორგი შიხაშვილის საწყრილმანო დუქანში რევოლვერით ხელში შევარდა უცნობი კაცი და მედუქნის გაძარცვა განიზრახა. პოლიციელებმა შენიშნეს უცნობი და თოფებით ხელში გამოუდგნენ. უცნობი გამოვარდა დუქნიდან, რამდენჯერმე დასცალა რევოლვერი და გაიქცა. პოლიციელებმა უცნობი დააპატიმრეს: იგი გამოდგა ალექსანდრე მისიუკი.

## ხოლერა
(დეპეშები)

**ყაზანი.** ხოლერით ავად გახდა სამი კაცი. ერთი გარდაიცვალა.

**კოზმოდემიანსკი.** ხოლერით გარდაიცვალა საერობო ექიმი ვოლკოვი.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ნიჟნში ხელახლა ავად გახდა 5 კაცი, გარდაიცვალა 1. იურინში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1. ვასილსურსკში ხოლერით ავად გახდა გემის უფროსი.

**იაროსლავი.** რიბინსკიდან 20 ვერსის მანძილზე ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ხოლერით გარდაიცვალა ერთი მუშა.

**სიზრანი.** ხოლერით გარდაიცვალა სამარიდან მოსული კაცი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** კიდევ გახდა ავად ხოლერით 5 კაცი, გარდაიცვალა ერთი სულ ავად გახდა 21, გარდაიცვალა 7. გორბატოვოში ავად გახდა ერთი კაცი.

**კამიშინი** ასტრახანიდან მოსულ გემიდან სამი ავად მუშა ჩამოიყვანეს. ერთი მათგანი სიკვდილის პირზეა. ქალაქში ავად გახდა ორი კაცი.

სამარაში 17 აგვისტოს ავად გახდა 5 კაცი, გარდაიცვალა 3, სულ სენის გაჩენიდან ავად გახდა 229 კაცი, სოლო გარდაიცვალა 107. სტავროპოლის მაზრის სოფ. მედვედში ხელახლა ავად გახდა 5 კაცი, 2 გარდაიცვალა.

სარატოვში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 11, 4 გარდაიცვალა. ცარიცინის მაზრაში ავად და გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

17 აგვისტოს ყაზანში გარდაიცვალა ერთი ხოლერიანი.

18 აგვისტოს ნიჟნი-ნოვგოროდში ავად გახდა 5 კაცი, გარდაიცვალა 1. სულ ავად გახდა 16, გარდაიცვალა 6.

10 აგვისტოს სოფ. იურინოში ავად გახდა 16 კაცი, გარდაიცვალა 6.

18 აგვისტოს პერმში ავად გახდა და გარდაიცვალა 1. პერმის გუბერნიის მოტოვილიხაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3.

ბაქოში 16—17 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 2 კაცი.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 18 მარიობისთვეს მოხდა სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობის სხდომა, სტუდენტობის წარმომადგენელთა თანადასწრებით. განსახილველი საგანი იყო შეგროვილ ფულის განაწილება ღარიბებს მოსწავლეთა შორის. ამ ჟამად საზოგადოებას აქვს ნაღდი გასანაწილებელი 1170 მანეთი და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საზოგადოება სულ რამდენიმე თვეა რაც არსებობს, გამგეობის მოღვაწეობა ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს. თუ რამდენად გაჭირვებულია ის ახალგაზდობა, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, იქიდანა სჩანს, რომ ნორჩ საზოგადოებას მისვლია 70 თხოვნა დახმარების შესახებ. გამგეობამ კარგ ხანს ითათბირა იმ საგანზე, ჩასთვალოს თუ არა სტუდენტებად ის ახალგაზდებიც, რომელთაც წელს დაასრულეს კურსი, მაგრამ ჯერ უმაღლეს სასწავლებელში არ შესულან. საბოლოოდ ეს საკითხი ვერ გადასწყვიტეს და შეუდგნენ თხოვნების განხილვას. დიდი უმრავლესობა მთხოვნელებისა, სტუდენტობის წარმომადგენლთა და გამგეობის წევრთა მოწმობით, ღარიბნი და შემწეობის ღირსნი აღმოჩნდნენ, მაგრამ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, ისეთი მთხოვნელებიც აღმოჩნდნენ, რომელნიც დახმარებას არ საჭიროებენ და იმ იმედით, რომ იქნება შეცდომაში შევიყვანოთ საზოგადოებაო. თხოვნას მაინც ჰგზავნიან. აღვნიშნოთ რამდენიმე მაგალითი; სხვათა შორის, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სტიპენდიანტს გამოეგზავნა

## ფელეტონი

### სამი სურათი.

I

ოხ, წაგრაგნულა მთლად არე-მარე,
სხეულიც რომ თრთის—გარშემო ბნელა;
ცრემლად იღვრება სამშობლო მხარე,
სულის ამოთქმაც მან გაუძნელა.

თვალ-დახუჭულო, შენთვის ერთ-თავად
ხომ შავი არის ნათელი სხივი;
ან როგორ სცოცხლობს გული ამ-ხანად
გრძნობა მიხდილი, მარადის ცივი?!

უღელს აქა აქვს მოთხოვნილება,
ქედს აქ ამძიმებს ბატონის ტვირთი,
შრომისა შვილი,—მძლავრი ქმნილება
სათამაშოა, ვით რამე ნივთი.

ეჰ, შენ არ გესმის იმისი ძალა,
გულს არა გხვდება, არ გამღელვარებს,
რატომ არა აქვს ღირსებას ფასი,
არ გაუვლია შენთვის ამ აზრებს?..

არც კვნესა გესმის ტვირთ-მძიმეს ხმაში,
მოდლილ კილოში ხვეწნა-მუდარა,
ან ის, რომ მისვე მწარე მოთქმაში
—სანატრელად აქვს კუბო-სუდარა?!..

არც იმას ჰხედავ, რომ წამებისგან
აღარ-ვის შერჩა ჭკუა-გონება,
ყოველს ნაბიჯზედ ბატონისაგან
მხოლოდ მონება, მხოლოდ მონება?!..

II

ცა იწყვლება, ქარი მწვავდება,
ღრუბელი ღრუბელს ახეთქებს მკერდსა,
ელვა გამკრთალი მიემსგავსება
მრისხანე თვალის გამონახედსა!

წამების ჯვარი, ჰხედავ, იქ, მთაზედ
მედგრად, ამაყად ამართულია,
მხოლოდ წამება ქრისტეს დროსაზედ
უფრო მძიმეა, უფრო რთულია.

ეხ, საზიზღარო, კაცს ტანჯვას უვლენ,
ტყვია და ხმალი დაჰქრის ჰაერში, [ღენ
ვინ დარდობს მისთვის, რომ ძმას ძმა უკვ-
ან სტრფის სწორი ელდება გვერდში?!..

გმირი აუკრავთ წამების ბოძზედ,
სულ-შეხუთულის ისმის ხრიალი,
იქ სხვა ფართხალობს შენასკვილ თოკზედ,
კიდევ ბორკილებს გააქვს ჩხრიალი!

დედას რომ შვილი ემშვიდობება,
იცის, მას მეტად ვეღარა ნახავს
და სამუდამოდ რა კი შორდება,
მის მიმკრთალ სახეს გულში ამარხავს.

სიკვდილი ქალს და კაცს არა სცდება;
სისხლი სწყურიანთ,—კიდეც ინთხევა,
მაგრამ მასთანვე ბოროტი მცნება
თან-და-თანობით სრულად ინგრევა!..

III

რა ლამაზია ეს ჩვენი მხარე:
ბულბულის ხმაზედ ვარდი ქვითინებს,
ლაჟვარდს შთაუნთქავს ცა მოელვარე,
მზის სხივთა გუნდი მთას აგვირგვინებს!..

დიადი აზრი ჰკრთის ამ სურათში,
გონს ვერ მოვსულვარ, სიზმარს ვადარებ;
თითქო დავფრინავ ცის კამარაში,
ტანჯულს ქვეყანას ფეხს არ ვაკარებ!

რა თავისუფლად მიჰქრის ცხოვრება,
ტკბილად მოისმის ხმა სიმღერისა,
სადღაა გლოვა? განქრა დროება
ძალ-მომრეობის, ბორკილთ ჟღერისა.

გმირების საფლავს ძეგლი ამშვენებს,
ანგელოსთ გუნდი მათ ზედ დაჰგალობს,
ხალხიც კურთხევით იმათ ახსენებს,
ვის მეოხებით ქვეყანა ხარობს!..

იქ... იქ რომ მოსჩანს,—დიდი ლოდისა
ვეშაპი არის გამოკვეთილი,
ზედ აწერია: „ჩვენი დროისა
ამას არ სწამდა აზრი კეთილი;

სტანჯა სიმართლის გზაზედ დამდგარი,
უმანკო სისხლი ბლომად ანთხია,
ვერაგი სული აქ არს ჩამკვდარი,
ქვეყნის სიმუხთლე აქა მარხია!..“

**სოფ. გ—მე.**

### პასუხი გნუსჯელთადმი
(დასასრული *)

ამას წინად სწორედ კროპოტკინს სწორედ ჩვენი კრიტიკოსის მსგავსი (რასაკვირველია, ყოვლ მხრით არა!) ანარქისტებისა და სოციალისტების კლიკა აუყაყანდა. ისინი წინადამ „პატრიოტებისა“ და „პოგრომშჩიკების“ სიაში არ ჩასწერეს, მერე რატომ? იმიტომ, რომ კროპოტკინმა სამართლიანად სთქვა: მიუხედავად იმისა, რომ მე 62 წელმა დამკრა, მე, მოხუცებული კაცი თოფით ხელში გამოვიდოდი და შევებრძოლებოდი იმ მტერს, ვინც ხელს შეახებდა საფრანგეთის თავისუფლებას, საფრანგეთის რესპუბლიკასაო. ცხადია, აქ კროპოტკინი საფრანგეთის თავისუფლების დასაცველად მიდის, და არა სოციალიზმისა, რომელიც ჯერ არ არსებობს და რატომ? —იმიტომ, რომ კროპოტკინმა, როგორც რევოლიუციათა ისტორიისა და ფილოსოფიის საუკეთესო მცოდნემ, იცის, რომ **ის ცოტა თავისუფლებაც კი**, რომელიც ეხლა გვაქვს საფრანგეთში და სხვა პოლიტიკურად თავისუფალ ქვეყნებში, რევოლიუციით არის მოპოვებული, და მისი დათრგუნვა გერმანიის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსაგან დიდი რეგრესსი იქმნება; იმიტომ რომ მან იცის, ეხლა რომ საფრანგეთის რესპუბლიკაში პრუსსიის დესპოტიზმი გამეფდეს, შეიძლება თვით სოციალიზმის საქმე გადიდოს რამდენისამე საუკუნით; იმიტომ რომ მან იცის, რომ ერი სწორედ მაშინ იქმნება საერთაშორისო კავშირის ნიჭის მქონე, როცა იგი თავისუფალია. საფრანგეთი პოლიტიკურად თავისუფალია, მაგრამ იგი თავის ინტერნაციონალურის ორგანოებით ათასი ჯაჭვით არის შეკავშირებული სხვა ქვეყნებთან, და საჭიროა, რომ არა თავისუფალი ერიც ასეთნაირადვე, თავისუფლად შევიდეს ინტერნაციონალურს კავშირში. კროპოტკინმა ყოველივე ეს იცის და იმიტომ ამბობს სამართლიანად ყოველსავე ამას, ამიტომაც კლიკა მალე დაჩუმდა, აჩვენეს რა თავისი უმეცრება, მაგრამ ვინ დააჩუმებს ჩვენ აყვირებულ „ანარქისტს“, რომელმაც ლამის არის თვით კროპოტკინიც „პოგრომშჩიკად“ მონათლოს და რომელსაც თავისი თავი კი ნიცშესზედ მაღლა მიაჩნია რეკლიუ? იგი ხომ პირდაპირ თავის თავის მოსაკლავად მოიყვანა ავტორმა. პირდაპირ ეტყობა, რომ რეკლიუსი მას მხოლოდ სახელი გაუგონია და ის რომ იგი ანარქისტია და „არც პოგრომშჩიკი“. ვინც იცნობს რეკლიუს Géographie Iniverselle-ს, იმ დიდ საყოველთაო სამართლიანობის სულს, რომლითაც ეს დიადი თხზულება არის აღფრთოვანებული, იმან ისიც იცის, თუ როგორ უყურებს რეკლიუ **ერებს.** იგი აღიარებს ყველა ერის და რასისა სრულ თანასწორობას. სხვანაირად არც შეეძლო რეკლიუს ამ პრობლემის გადაწყვეტა. მან იცის ყველა ერები, რასები და ხალხები. იგი ყველა მათგანში ჰხედავს შემოქმედებით ძალებს; უთანასწორობა მათ შორის ბუნებით დაყოლილი არ არის, არამედ პირობათა მიერ გამოწვეული, უმაღლესი კულტურა ერისა არ აძლევს მას უფლებას უმცირესის კულტურის ერი დაჩაგროს. მას ყოველი დიდი დაპყრობა, ომი და ელეტა აწუხებს, ერთა შორის მშვიდობიან დამოკიდებულებათა განვითარება მისთვის უფრო სიმპატიურია. ყოველი აჯანყება დაჩაგრულ ერისა მისთვის აგრეთვე სასახელოა და სიმპატიური. მომავალში იგი აღიარებს ერთა შორის ნება-ყოფლობით კავშირსა და არა საყოველთაო დესპოტიზმსა და დიდ ერთა მიერ პატარების შთანთქმას. არც შეიძლება სხვანაირად იფიქროს ნამდვილმა ინტერნაციონალისტმა.

აიღეთ შემდეგ მისი მეორე დიდი შრომა—L'Homme et la terre იქაც იგივე დიადი სული ტრიალებს სამართლიანობისა. წაიკითხეთ ამ თხზულების მესამე ტომში, მაგალითად, როგორ აგვასებს იგი ირლანდიის წარსულს ხასიათს, მის აწმყო მდგომარეობას **დაპყრობის წყალობით**, მის სასურველ მომავალს! რაც ირლანდიაზედ დასწერა, ის რომ საქართველოზედ დაეწერა რეკლიუს, ჩვენი ფილოსოფოსი უსათუოდ „პოგრომშჩიკს“ დაუძახებდა, თუ, რასაკვირველია, არ შეშინდებოდა, რადგან ასეთი სულმდაბლები სხვას ვერასოდეს ვერ შეჰბედვენ ისეთ რამეს, რასაც თავიანთ თანამემამულეთ, რომელთა თანამემამულეობა მათ ეთაკილებათ, თითქოს რომ კიდეც ძლიერ მოინდომონ, შეეძლოთ გახდნენ ფრანგები ან ინგლისელები, და რაც უნდა იტუნონ, მაინც ჩვენებური დეგენერატები არ იყვნენ სულითა და გულით!

ესეც თქვენი ბაკუნინი, კროპოტკინი, რეკლიუ და სხვანი; ნუ ებღაუჭებით მათ, ისინი არც თქვენისთანა სისულელეებს ამბობენ, არც თქვენი ამხანაგები არიან, თუმცა კი ეჩრებით, არ კადრულობთ რა ჩვენ თანამემამულეობას.

მართლაც რომ თქვენა ხართ ღირსი იმისი, რისაც მე მეშინოდა და რაზედაც თქვენ მეუბნებით, რომ ნუ გეშინიანთ—**უკანასკნელი** ქართველი—ასტეკი არ იქნებითო. მე კი არ ვიქნები **უკანასკ-**

*) იხ. „ისარი“ № 182.

თხოვნა და, ვინ იცის, იქნება შეცდომაშიაც შეეყვანა გამგეობა და დახმარება აღმოეჩინა, რომ მრეწველთა სტიპენდიების სია არა ჰქონოდა; ორი ისეთი მთხოვნელი აღმოჩნდა, რომელთაც სასარგებლოდაც საქველმოქმედო საღამოები გაუმართავთ და საკმაო ფულიც აუღიათ. ასეთი საქციელი მოსწავლე ახალგაზრდობისა, მეტი რომ არა ვთქვათ, განცვიფრებას იწვევს, ხოლო სტიპენდიების დამრიგებელ დაწესებულებში უნდობლობას მთხოვნელთა მიმართ. ურიგო არ იქნებოდა, რომ კერძო ქველმოქმედებმა და საქველმოქმედო დაწესებულებებმა ერთმანეთს აცნობონ სტიპენდიანტების სია, რომ ერთმა და იმავე პირმა რამდენსამე ადგილას არ მიიღოს დახმარება. გარდა ამისა, ქუთაისის სტუდენტთა და მხმარებელ საზოგადოების პრაქტიკამ გამოარკვია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობის დასწრება სტიპენდიების განაწილების დროს საქმეს ბევრად ეხმარება და ურიგო არ იქნება, სხვებმაც იხელმძღვანელონ ამით.

## პრესსა

უკვე დასრულდა გამოძიება „ვიბორგის მოწოდების“ გამო და მალე პირველ სათათბიროს წევრნი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. ყველამ იცის, რა უსამართლობა ჩაიდინა მთავრობამ ამ პროცესის დაწყებით და აგრეთვე ისიც, რომ მთავარი მიზეზი ასეთ საქმის დაწყებისა იყო სურვილი, ყოფილ დეპუტატები გაეძევებინათ მეორე პოლიტიკურ არჩევნების ბრძოლის ველიდან. მაგრამ, როგორც ჯერ ჯერობით სჩანს, თურმე ვერც ბრალდებულ-დეპუტატების საქციელია მოსაწონი. გაზეთი „სვობოდნი მისლი“ სწერს:

პირველ რუსულ პარლამენტის 169 მოღვაწე პოლიტიკურ სიმწიფის ეგზამენს იჭერდა ვიბორგში და ჩაიჭრა; ეხლა ისინი ხელმეორედ იჭერენ ამ ეგზამენს გამომძიებლის წინაშე და ბევრი ისევ ჩაიჭრა. მართლაც, როგორ უნდა დაეჭირათ თავი ნამდვილ პოლიტიკურ მოღვაწეთ? დეპუტატებმა ხელი მოაწერეს ხალხისადმი მოწოდებას, გ. ი. ჩაიდინეს შეგნებულად ესა თუ ის პოლიტიკური აქტი; მასთანავე ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ ეს არსებულ კანონებით დანაშაულობაა. ამიტომ გამომძიებელთან მტკიცედ უნდა დაეცვათ თავისი პოლიტიკური პოზიცია და თავიდან აეცდინათ ყოველი პასუხი და საბუთი იურიდიულის საკითხას მხრით. ნამდვილად-კი 9 დეპუტატი მოიქცა ასე და 124-მა კიდევ აღიარა, ხელი მოვაწერეთ მოწოდებასაო, ხოლო სხვა ჩვენების მიცემაზე უარი სთქვა; დანარჩენებმა-კი მესამლოდ დაინახეს სხვა და სხვა საეჭვო საბუთებით თავის მართლება; ზოგმა ამათგანმა პირდაპირ სამარცხვინო ჩვენება მისცა გამომძიებელს; სახელდობრ—ვოლკოვმა, ვრაგოვმა, დიაჩენკომ, ვიროვოიმ და სხვათ სთქვეს: ჩვენ არ წაგვიკითხავს მოწოდება და ისე მოვაწერეთ ხელიო..

ვნახოთ, როგორ დაიჭერენ თავს სასამართლოს წინაშე ეს პოლიტიკური მოღვაწენი. ნამდვილი თავის მოჭრა მაშინ იქნება, თუ საჯაროთ გაიმეორეს ასეთი თავის მართლება...

* * *

„ოჟიზნ პეჩატნიკა“ აღნიშნავს კოოპერატიულ მოძრაობის ზრდას რუსეთის მუშათა შორის:

მუშათა მასსა ბოლოს დროს საშინლად გაიტაცა კოოპერატიულ ორგანიზაციების მოწყობამ. მასსამ გაიღვიძა და თვითონ მოჰკიდა ხელი საორგანიზაციო შემოქმედებას. კოოპერაციებს რუსეთში დიდი მომავალი მოელის და ჩქარის ნაბიჯით მიდის ამ გზაზე მუშა ხალხი. და ვინ იცის: იქნებ 15—16 წლის შემდეგ ჩვენს მუშებსაც ექნებათ თავისი „სახალხო სახლები“, თავისი საკუთარი სტამბები და გაზეთები, თავისი „მუშათა სასახლეები“, როგორიც ეხლა აქვთ ყველა ეს ბელგიელ, ინგლისელ და გერმანელ მუშებს! თუ, რასაკვირველია, მოძრაობას დასცალდა და რექციამ არ შეაჩერა თავის უწმინდურის ხელით, კოოპერატიული მოძრაობა დიდ ძალად შეიქნება რუსეთში. მაგრამ კოოპერატივების შემქნელთ არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ ეს მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა მუშათა მოძრაობისა,—ფორმა, რომელიც უნაყოფო დარჩება თუ პროფესიონალ კავშირებს დაშორდება ან მუშათა პოლიტიკურ მისწრაფებათ უარჰყოფს.

## მუშების ცხოვრება

**ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირთა საყურადღებოდ.** ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ პროფესიონალურ კავშირებს დღეს არ შეუძლიანთ ყველა უადგილოდ დარჩენილს ფულით დახმარება გაუწიონ. მაგრამ რაც შეეხება ადგილის შოვნისათვის ზრუნვას და მით, ცოტად თუ ბევრად, უმუშევართა რიცხვის შემცირებას —ეს კავშირების პირდაპირ მოვალეობას უნდა შეადგენდეს. საუბედუროდ, ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირს ამ მხრივ ცოტა სისუსტე ეტყობა. მე იმის თქმა არ მინდა, ვითომ ბეჭდვითი საქმის მუშათა პრ. კავშირის გამგეობის წევრები გულ-გრილად იქცეოდნენ და თავიანთ მოვალეობას არ ასრულებდნენ; მე მინდა მხოლოდ მათი ყურადღება მივაქციო იმ არა სასიამოვნო ფაქტებს, რომელსაც ზოგიერთი აქაური მუშათა ინტერესების ცრუ დამცველი ასოთ-ამწყობები სჩადიან და რომელთა თვალყურის გდებაც ევალებათ პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრებს.

ტფილისის ზოგიერთ სტამბაში და, განსაკუთრებით, გაზეთებზე მომუშავეთა დათხოვნა-მიღება დამოკიდებულია თვით მომუშავეებზე. ამით სარგებლობენ ზოგიერთი ვაჟბატონები და, როგორც უნდათ, ისე ხმარობენ ამ უფლებას. მაგალითად, ითხოვენ იმ მუშებს, რომელთა ფიზიონომიაც არ მოსწონთ და იღებენ თავიანთ მახლობელ ნათესავებს, ხან-და ხან ჯამაგირსაც თავიანთ გემოზე ანაწილებენ და სხვა.

დღეს კავშირში ეწერებიან უადგილოდ დარჩენილნი კანდიდატებათ და ელიან ადგილის შოვნას. ცხადია, გამგეობის წევრები უნდა სცდილობდნენ, პირველი ადგილი არგუნონ იმას, რომელიც უფრო ადრე არის კანდიდატად ჩარიცხული. ამით კავშირს შეუძლიან აიცილოს თავიდან თვითონ უმუშევართა შორის უკმაყოფილების ჩამოგდება, ერთის მხრით, და მეორეს—თვითონაც სიმპატია მოიპოვოს წევრებს შორის.

გარდა ამისა, კავშირი უნდა სცდილობდეს, ადგილზე მოხვდეს ის პირი, რომელიც სხვაზე უფრო გაჭირვებულია. ეს კი შეუძლებელია მაშინ, როდესაც კავშირის თითოეული წევრი დამოუკიდებლად მოქმედებს და უმთავრეს ყურადღებას აქცევს თავის მახლობელ ნათესავს და იმას, რომლის ფიზიონომიაც მას მოსწონს. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ თვითონ ამხანაგებმა, თორემ ის ვაჟბატონები, რომელნიც დღეს თავიანთ მეზობლებს ექომაგებიან, ხვალ თავიანთ ძმებს ჩამოიყვანენ სოფლიდან, იმას დააყენებენ ადგილზე და ნამდვილად გაჭირვებულ კაცებს კი ქუჩაში დასტოვებენ მშიერს.

**ერთი წევრთაგანი.**

## პროვინციის ცხოვრება

**შუა ქართლი.** გაძლიერებულ რეაქციის ქარიშხალმა მოიცვა მთლად ქართლი. ბნელმა ძალებმა დრო იხელთეს და სოროებიდან თავი გამოჰყვეს. აქარავინ აქარავისა ზოგავს. „დანოსებით“ ივსება კანცელარიები. ხულიგანთა თარეში აუწერელია. გაყაჩაღებული რაზმელები ვეღარ ისვენებენ და დრო გამოშვებით ხან ერთს, ხან მეორე სოფელს ესხმიან. ამას წინად რამდენიმე შეიარაღებულმა ყაჩაღმა იერიში მიიტანა სოფ. წუღუში ერთ გლეხზე. გაიტაცეს ორას თუმნამდე. ს. ხვითშიაც მოინდომეს ასეთი საქმე, მაგრამ იქ მაგრად დაუხვდნენ და სროლით გაუსუსხეს. დაიჭრა ერთი ყაჩაღი, მაგრამ მათ მაინც თავს უშველეს.

არც მამასახლისები აკლებენ. ეშვით იჭერენ და ვისაც არამგონია, სცემენ. ფულსაც ბლომად ჰკრეფავენ. **ნომე.**

---

**სურამი.** სურამი დიდის ამბით დაუხვდა სპარსელ ქართველებს. დღესასწაული დაიწყო ბარკში, დღის სამ საათზე, ბავშვების სადილით. სპარსელებიც სადილითი ჩამოვიდნენ ახალციხიდან. ბავშვები ბაღში მათ სიმღერით დახვდნენ. შემდეგ თეატრში გაიმართა საღამო. ჯერ ეკალაძემ და მერე ონიკაშვილმა გააცნეს დამსწრე საზოგადოებას სპარსელ ქართველების ყოფა-ცხოვრება. ლექციის შემდეგ დაიწყო რუსული წარმოდგენა. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. დანიშნული იყო აგრეთვე ქართული წარმოდგენა „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, მაგრამ რაკი გვიან თავდებოდა, გადასდეს. რუსული წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, მერე ცეკვა.

დიდის მადლობის ღირსია მსახიობი ს. სვიმონიძე, რომელმაც შემწეობა აღმოუჩინა წარმოდგენის გამმართველთ. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ქ-ნნი მ. ნ. გვერწითელი, მ. შალიბაშვილი, კ. არდიშვილი, დ. ჩხეიძე და ბ-ნი ბ. ძნელაძე, რომელნიც ბავშვების სადილს განაგებდნენ. აგრეთვე, ქ-ნნი თ. კ. ჩხეიძეები, ვ. ქურდავანიძე, ს. ი. სიდავა, ფ. კორძაია, ბ-ნნი გ. გვერწითელი, ი. შალიბაშვილი, ა. ზ. ნებიერიძეები, ჯ. კორძაია, ვ. ცაგურია, შ. აბაზაძე, ი. მახარაძე, გ. მაჭავარიანი და ყველა ისინი, ვინც შემწეობა აღმოუჩინეს საღამოს. სულ შემოსავალი იყო—323 მან. 90 კაპ., ხარჯი 113 მ. 75 კ., სპარსელ ქართველებს მიეცათ 60 მ. **გ. შ.**

---

**ალპანა.** 14 აგვისტოს აქ შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. მთავარ როლს ამ საქმეში თამაშობდა სტრაჟნიკი სარდიონ მანაგაძე. ამ ვაჟბატონს ბოქაულის სახელით წამოუყვანია ალპანაში ერთი გლეხი თავის ცოლით. გზაზე მანაგაძეს დაუთვრია ქმარი, რომელიც დაილაბში მიუტოვებია, ხოლო მისი ცოლი მოიყვანა ალპანაში. აქ უმწეო ქალი შეურაცხჰყოფს, და დილას გაუპატიურებული ქალი მარტო დასტოვეს. ქალი, უზომოდ შეურაცხყოფილი, თავის მოკვლას ლამობდა, მაგრამ ნება არ მისცეს: ამ დროს ალპანაში მოვიდა გაუბედურებულ ქალის ქმარი, რომელიც კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანებში სტრაჟნიკების თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს, პატრონი კი არსად არის. **აქაური.**

---

**სოხუმი.** ამდენის ხნის განმავლობაში სოხუმში გამეფებული სამაგალითო მყუდროება 9 მარიამობისთვეს დაირღვა, და ჩვენი პატარა ქალაქი, ცოტა არ იყოს, აღაპარაკდა და აამოძრავდა. დეპეშებიდან უკვე გეცოდინებათ, რომ 6 აგვისტოს მოჰკლეს აქაური ბოქაული ალ. სკორიკოვი და სოხუმის ქალაქის თავის მოადგილე კონ. იპ. კორჩიცი. იმ საღამოს ორნივენი ცირკში იყვნენ. ცირკში წარმოდგენის გათავების შემდეგ აქაურ რესტორან „ბირჟაში“ წამოვიდნენ სავახშმოდ. მაგიდას მოუსხდნენ. შორი-ახლოს სხვებიც დასხდნენ, ამ დროს მოვიდა ერთი მაღალი ახალგაზრდა კაცი, და ბოქაულს სკორიკოვს ერთის ადლის მანძილზე უკანიდან შიგ კისერში ესროლა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი, თან დაიძახა, ადგილიდან არავინ დაიძრასო! გასროლა და სკორიკოვის გარდაცვალება ერთი იყო, ხმაც კი არ ამოუღია. განსვენებული კორჩიცი მაშინადურად ზეზე წამოიჭრა და დაიძახა: დაიჭით მკვლელიო. მკვლელს ალბად ეგონა, ეს არის, დამიჭირაო და ორჯერ ზედი-ზედ კორჩიცსაც ესროლა. ერთი ტყვია პირში მოჰხვდა, მეორე მარჯვენა მკერდში. ისიც უსულოდ დაეცა. მკვლელი გაიქცა. სხვა მოვახშმენი ათზე მეტნი იქნებოდნენ, მაგრამ ყველანი გაიფანტნენ, ყველამ თავს უშველა. ისეთი შიშის ზარი დაეცათ, რომ აზრად არავის მოსვლია მკვლელს გამოჰკიდებოდნენ. ტელეფონით შეატყობინეს პოლკის უფროსს, რომელმაც ერთი როტა ჯარისკაცები გამოგზავნა, შეკრეს ახლო-მახლო ადგილები, ალყა შემოარტყეს ქალაქის ბაღს, მკვლელი შიგ შევარდაო; გათენებამდე ეძიეს, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნეს.

მთელ ქალაქს მოედო მკვლელობის ამბავი. ყველას გული დასწყვიტა კორჩიცის ტრაგიკულად გარდაცვალებამ, მით უფრო, რომ განსვენებულს მთელს ქალაქში არა თუ სასიკვდილოდ გამმეტებელი მტერი, ძვირის მახსენებელიც კი არავინ ჰყავდა. აშკარაა, რომ მსხვერპლი გახდა უბედურობისა. განსვენებული ჯერ სულ ახალგაზრდა კაცი იყო (36 წლისა). ქალაქის გამგეობის წევრად პირველად ამ ექვსის წლის წინად აირჩიეს. მოქალაქეთა სიყვარული იმდენად დაიმსახურა, რომ მომავალ ენკენისთვეში ახალ არჩევნებზედაც არჩევას უპირებდნენ.

კორჩიცი ქალაქმა დაასაფლავა თავის ხარჯით. დასაფლავებას ბევრნი დაესწრნენ. გამგეობის წევრმა [illegible] სიტყვა წარმოსთქვა.

ერთი სამწუხარო წვლილიც. განსვენებული პოლონელი იყო. ახალგაზრდა ცოლი და ორი პატარა შვილი საზაფხულოდ სამშობლოში გაისტუმრა. სწორედ სიკვდილის წინ დღეს ცოლისაგან ტელეგრამა მოუვიდა: ვაჟი გვიკვდება და მოეშველეო.

---

**სურამი.** აგერ სეზონიც გადის და სურამიც ნელ-ნელა ჰკარგავს თავის ელფერს. კიდევ ერთი თვე და მთელი სიცოცხლე სურამისა შესდგება, გაიყინება. ზაფხული სურამისათვის მაცოცხლებელი დროა; ამ დროს თუ შეჰხვდება კაცი აქ სიმხიარულეს, ხალხის ერთად თავის მოყრას, წარმოდგენებს და სხვა, თორემ დაზამთრებისას კი ყველა ამას სურამი მოკლებულია, დანიშნულ მოშორებულსავით დაღონებული, მიყრუებული გამოიყურება თავის ქერქიდან და, სადათას ძილს მიცემული, ცალის თვალით შესცქერის დღევანდელ მძიმე ცხოვრებას და მის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს—ყველა ამას სურამი ზამთრობით კი არა, ზაფხულობითაც მოკლებულია. მოკლებულია თავის სიზარმაცით, დაუდევრობით, უაზრო და უსაფუძვლო შიშით. საკმარისია გავიხსენოთ ადგილობრივ ბიბლიოთეკა—სამკითხველოს ბედი, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სურამის საზოგადოების საქმიანობა—უნარი და ზოგიერთ პირთა ნათელი ფიზიონომია...

ისევ ზაფხულს თუ შეაქვს სურამში სხვა და სხვაობა, ისევ, ცოტად თუ ბევრად, იგი თუ აღვიძებს. სადგურის ბაქანი—ეს ყოველ-დღიური სასეირნო სურამის მოაგარაკეების და მცხოვრებლებისა, სწორედ აშმორებულ ღელის სუნს მოაგონებთ—მთელი სადგური მყრალი სუნით არის გაჟღენთილი; და ყველა ეს კი ერთის კაცის ჯიუტობით და თვითნებობით ხდება. კარგი, ბ-ნი ინჟინერი მუსტი არ საჭიროებს (ან ვინ იცის, თავის მოვალეობასაც არა სთვლიდეს) მის ყურის გდებას, რას აკეთებს ამ დროს ადგილობრივი პოლიცია, რას აკეთებს სურამის საზოგადოება? ნუ თუ მას მაინც არ შეუძლიან გააკეთებინოს, აიძულოს თვით ნება ბატონი, როგორმე მოაგვარიანოს, შესწოროს და უწამლოს ამ უცილობელ სუნს.

10 აგვისტოს აქ გაიმართა წარმოდგენა. თუმცა ცუდი დარი იყო, წარმოდგენას მაინც ხალხი ბევრი დაესწრო. მიზეზი ორნაირი იყო: წარმოდგენის შემოსავალი დანიშნული იყო აქვე მწოლიარე ავადმყოფ პოეტ ქალის ნინო ორბელიანის სასარგებლოდ და მეორე ის,—ტფილისელ მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას: ნინო ჩხეიძე. ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. ქორიძე, სვიმონიძე და ადგილობრივი სცენის მოყვარენი. ითამაშეს „უბედური ნაბიჯი“—ქართულად და „უბედური დებიუტი“—რუსულად. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. კარგები იყვნენ ქ. ჩხეიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ქორიძე. არა უჭირდათრა სხვებსაც. მშვენიერი იყო ქ. ჩხეიძე. მესამე მოქმედებაში მთელი დარბაზი სმენად გადაიქცა და სულგანაბული უგდებდა ყურს ჩხეიძის თვითეულ სიტყვას. ბევრს ცრემლებიც მოადგა თვალებზე. დამაზათ ითამაშა ბ. ქორიძემ რუსულ პიესაშიც. საზოგადოებამ ხანგრძლივის და ტაშის ძახილით დააჯილდოვა მსახიობნი და რამდენიმე თაიგულიც მიართვა ქ-ნნთ ჩხეიძეს და გაბუნია-ცაგარლისას.

**ნესლარი.**

## უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის მთავრობა უკვე ანგარიშობს პოლონელებთან ბრძოლის შედეგს. პოლონელთა გაგერმანელების პოლიტიკა უმთავრესად დამყარებული იყო ორ ბურჯზე: სკოლის გაგერმანელებასა და პოლონელთა ტერიტორიის გამოცლაზე. ყველას ეხსომება ის სიმკაცრე და მხეცური სისასტიკე, რომელიც გამოიჩინა გერმანიის მთავრობამ პოლონელ ბავშვებთან ბრძოლის დროს. სულ სხვა გზას ადგია იგი მიწის საკითხში. მან დააარსა პოზნანში ბანკი, რომელსაც მიზნად ჰქონდა რაც შეიძლება მეტი მამული ეყიდნა პოლონელებისაგან და გაეყიდა გერმანელებისთვის. ბანკი ოცი წლისა შესრულდა. პრუსიის მთავრობამ

---

ხელი აცტეკი, რადგან ჯერ კიდევ არსებობს სამ მილიონამდის ქართველი, მაგრამ ამ სამ მილიონ თანამედროვე ქართველში რომ სწორედ თქვენა ხართ ღირსი **ეხლავე** წაგიყვანოს პატრონმა და არა სომეხმა, ფულის მოსაგებად კი არა, არამედ მოსარჩენად და საღპატრიების ექიმების წინაშე სადემონსტრაციოდ,—ამას მთელი თქვენი აბდაუბდა და უშვერი ლანძღვა ამტკიცებს. ბ-ნმა თ. გოგიჩაიშვილმა ამ ორი წლის წინად ერთი ასეთი პუბლიცისტი აღმოაჩინა ჩვენ მწერლობაში, მაგრამ თურმე კიდევ ყოფილა მაზედ უარესი და თუ ასე გაგრძელდა,—არ ვიცი, მგონი, ჩვენის რედაქციების გვერდით პსიხიატრიული სამკურნალოების აშენება დაგვჭირდეს!

---

დასასრულ, რას აგვიყაყანდით თქვენ, ყველა ახალ ჯურის „სოციალისტებო“, „ინტერნაციონალისტებო“ და „ანარქისტებო“? რა ჰქენით და რა მოაწყეთ „სოციალისტური“ ჩვენ ქვეყანაში? მე რას ვამბობ იმ წვრილ და მსხვილ ნამდვილ მუშაკებზედ, რომელთაც მოაწყეს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები, ჩაუნერგეს მაღალი იდეა სოციალიზმისა, დიად მოძრაობაში თავები გაიწირეს. ჩვენი ახალი ისტორიის სულის ჩამდგმელნი ესენი არიან. მაგრამ თქვენი სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი რაში გამოიხატა? მასში, რომ ხალხს ალა-მამად-ხანის ხარჯი დაადევით და ლამის არის თქვენი ხარჯებისაგან სული ამოსძვრეს და განადგურდნენ უფრო, ვიდრე გადაწვისაგან? მასში, რომ სულით დაცემისა და დახრჩობის თეორიისა და პრაქტიკის სკოლა გახსენით მთელ საქართველოში და ყველას გადაადევით ის სიუწუკე, რომელიც თქვენი დამახასიათებელია? მასში, რომ ყოველი დიადი იდეა,—ანარქიზმი, სოციალიზმი, ინტერნაციონალიზმი და სხვა—ყოველივე შერყვენით და ლამის არის ყოველ პატიოსან კაცს შეაზიზღოთ მთელი რევოლიუცია და ძალაუნებურად გაარეაქციონეროთ? დიახ, ნება მიბოძეთ პირდაპირ გითხრათ, რომ დღეს თქვენი ანარქიზმი მართლაც უწესოებაა, თქვენი სოციალიზმი—სიცრუეა, თქვენი ინტერნაციონალიზმი—ხულიგანობა და მთავრობის ბრმა იარაღობა, თქვენი ტერრორი სილაჩრეა, ისეთი საზიზღარი სილაჩრე, რომ მოხუც უძრავ ძვალ-რბილ-დავრდომილ კაცსაც კი აღარ ინდობს სრულიად უმიზეზოდ; თქვენი ექსპროპრიაცია კი ნამდვილი შანტაჟია, ისეთი შანტაჟი, რომელიც თავის დღეში არ ჩაუდენიათ იცით ვის?—იმათაც კი, ვინც დიეპიდან ნიუ-ჰევენზე ლონდონში მიემგზავრებიან პარიზიდან ყოველდღე, ანარხისტების სახელით ჩადიან იქ და სცდილობენ მოატყუონ ნამდვილი ანარხისტები და რევოლიუციონერები. სახელი ამ ვაჟბატონთა არის: სუტენიორები და აგენტ-პროვოკატორები, რომელთა სარბიელი დიდია პარიზში! —დიახ, ყველა ამის შემდეგ თუ თქვენი ამხანაგობა ყოფილა ანარქიზმი, მაშინ მე დიდის სიამოვნებით უარ-ვყოფ სჯულს, მაგრამ თქვენ, კი! ვინ მოგცათ უფლება, რომ თქვენ საზიზღრობას ანარხიზმი და სოციალიზმი უწოდოთ? სად არის თქვენი ანგოლილიოები, სად არიან თქვენი ლუიზ მიშელები და პუგეები. ვინ მოგცათ უფლება, რომ ანარხიზმის ისტორიაში წუმპე დააყენოთ? ვინ მოგცათ ნება, რომ თქვენი სიმყრალით მოსწამლოთ მთელი იდეა ანარქიზმისა, მას სახელი გაუტეხოთ! ჩაიდინეთ რაც გინდათ, არახუნეთ სისულელე, რამდენიც გინდათ, — ეს თქვენ სინიდისსა ჰკითხეთ, მაგრამ რა შუაშია აქ ანარქიზმი და სხვა? იქნებ შირმად გინდოდეთ ყოველივე ეს, იქნებ დიდი იდეების სახელები თქვენთვის ფარია? სცდებით, თქვენ ყველა გიცნობთ ეხლა, ვინცა ბრძანდებით! ან და რა გინდათ ამ დაწყევლილ საქართველოს „ტერიტორიაზე“, თუ იგი არ გრწამთ? წაბრძანდით სხვაგან, მიბრძანდით ბაქოსკენ, იქ იციან თქვენისთანა ვაჟბატონების გამასპინძლება! მაგრამ არ გეგონოთ, რომ აქაც, საქართველოს „ტერრიტორიაზედაც“ ისე მოკვდა ადამიანის სინიდისი, რომ თქვენ მაინც ვერ გაგისწორდეთ! ფრთხილად! Сократитесь, ეს არის ჩემი გულწრფელი და უკანასკნელი რჩევა.

ჯერ-ჯერობით ესეც იკმარეთ. მე თქვენი გამასპინძლება არ გამიჭირდება, ყველა „ანარქისტთა“ ჯგუფების შტემპელებიც რომ ერთად მოიტანოთ ჩემთან, მაშინაც კი.

თქვენი დაჭკვიანებისა და გაპატიოსნების მსურველი Báton.

---

P. S. უკაცრავად, კინაღამ არ დამავიწყდა,—პასუხი აგრეთვე იუმორისტულ ჟურნალისაგან, „შუამავლისაგან“ მივიღე, რასაკვირველია, ოხუნჯური პასუხი, მაგრამ ეს ოხუნჯობა, მართალი მოგახსენოთ, ვერ გავიგე, თუმცა ბევრი ვიმტვრიე თავი. ბოლოს გულ-მოსულს მინდოდა ერთი „ახალ მოდის ჯგუფთა“ ყუმბარა მესროლა რედაქტორისათვის, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან .. აბა რომელი ჭკუათა მყოფელი მისცემს მასალას მოწინაამდეგე ორგანოს, რომელი გახდება მისი უნებლიე თანამშრომელი! B.

შეადგინა ანგარიში მისი მოქმედებისა ოცი წლის (1886—1906) განმავლობაში, რომელსაც ღონისძიება მომავალ სესიაში შეიტანს. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ საკოლონიზაციო ფონდიდან ამ ხნის განმავლობაში დაიხარჯა 350 მილ. მარკა. ნაყიდ შეიძინა 590 მამული ზომით 305.986 ჰექტარი და 398 გლეხის მამული ზომით 20,007 ჰექტარი. ამ მამულებში შემამულეებმა მიიღეს 266,987,262 მარკა, გლეხებმა 25,603,250 მარკა. ორივეს ერთად—292,540,512 მარ., მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეძენილ მამულებიდან 29,7% ნაყიდი იყო პოლონელ მემამულეებისაგან, 41,5% პოლ. გლეხებისგან, ხოლო დანარჩენი 28,8% ეკუთნოდა თვითონ გერმანელებს. ამ საინტერესო მოხსენებიდან არა სჩანს, რამდენი მამული იყიდეს ამავე ხნის განმავლობაში პოლონელებმა გერმანელებისაგან, თუმცა აღიარებულია, რომ პოლონელები აღერადელ მამულებს ყიდულობდნენ. პოლონელებმაც დაარსეს ასეთივე საადგილ-მამულო ბანკები ასეთივე მიზნით და მათი ანგარიშიდან სჩანს, რომ პოლონელებს უფრო მეტი მამული უყიდნიათ გერმანელებისგან, ვიდრე მიუყიდნიათ მათთვის. ბოლოს ისიც პოლონელებმა მოიგეს, რადგან, ჯერ ერთი, ბევრი ახალი მამული შეიძინეს და, მეორე, გაყიდულ მამულში ერთი სამად აიღეს, რადგან მთავრობის პოლიტიკამ საშინლად ასწია პოლონელთა მამულების ფასი. ზემოხსენებულ ანგარიშს ავტორი პირდაპირ აცხადებს, რომ თუ მთავრობამ პოლონელებთან ახალი საბრძოლველი საშუალება არ აღმოაჩინა, მიწის ყიდვა და პოლონელების დაწყლება უტერიტორიოდ მიზანს ვერ აღწევს.

## წერილი რედაქციის მიმართ

(მადლობის გამოცხადება)

სოხუმის ციხის პოლიტიკური ტუსაღნი (ქუპი და ლეკი) უმორჩილესად გთხოვთ რედაქციის ნება მოგვცეთ, „ისარის“ შემწეობით მადლობა გადავუხადოთ ქვემოხსენებულთ სოხუმის მოქალაქეთ, რომელთაც რიგ-რიგად გვიგზავნეს სადილები და მით, ცოტა არ იყოს, შეგვიმსუბუქეს აქაური გაჭირვებული ყოფა. მადლობას ვუცხადებთ: დიმ. ნადარეიშვილს, სამს. ქიპჰარიან, როსტომ კარანაძეს, იოს. ლოლუას, საჩინო თურქიას, შამშე თოფურიძეს, ალექსი სიჭინავას, პავლე კალანდარიშვილს, სტეფანე თურქიას, დ. ბოსტანჯოღლის, ლუკა თოფურიძეს, ანტონ გოჩოლეიშვილს, გრიგოლ გეორგაძეს, ილარიონ შენგელიას, ვლად. სალაყაიას, სვიმ. მატახერიას, შირვან ქითავას, ძმათა ძაძამიებს, კოსტანტ. ხურციას, ფილიპე ერქომაიშვილს და ერისტო გოჩოლეიშვილს.

—

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მივაქციო საზოგადოების ყურადღება იმ უსამართლობასა და დაუდევრობას, რომელიც გამოიჩინა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სტიპენდიების გამნაწილებელმა კომისიამ.

ამ გაზაფხულზე, სხვათა შორის, მეც ვთხოვე თავად-აზნაურობის სტიპენდია. თხოვნაში აღნიშნული მქონდა ყველა ის მოტივები, რომელთაც გამაბედვინეს ასეთი საქციელი და სრულიად დაიმედებულიც ვიყავ, რომ სტიპენდიების გამნაწილებელი კომისია უეჭველად აღმომიჩენდა დახმარებას. მაგრამ კომისია არამც თუ **არ ხელმძღვანელობს თურმე მთხოვნელთა ვინაობის გამოკვლევით, არამედ თხოვნების წაკითხვითაც კი არ იწუხებს თავს** და სტიპენდიებს ერთხელვე „დაკანონებულ“ დადგენილების მიხედვით ანაწილებს. როგორც განმიმარტა თვით გუბერნიის მარშალმა, ეს დრაკონული დადგენილება რამდენიმე სიტყვით გამოიხატება: „სტიპენდიები მხოლოდ სპეციალისტებს“. მე ვერ გამიგია, რა წითელი კოჭები არიან ეს „სპეციალისტები“, ან რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, თუ „არა-სპეციალისტებიც“ არ იქნებიან; ან რათა სთელავენ ფეხით დანარჩენ სტუდენტთა თავმოყვარეობას და რატომ იღებენ მათგან თხოვნას, თუ კი წინდაწინვე არჩეულები ჰყავთ მომავალი სტიპენდიანტები? რატომ არა ნებულობენ კომისიის ბბ-ნი წევრები საზოგადოების წინაშე ანგარიშის გაწევას და არ ცდილობენ რუსეთის სტუდენტების დახმარებას, რომელიც უკვე ცნობილია, როგორც სასარგებლო კაცი? ვთქვათ, კომისიის აზრით, „ქვეყნის მხსნელები“ მხოლოდ „სპეციალისტები“ არიან, მაგრამ ერთი და ორი კაცი ხომ ვერ იხსნის ამ ქვეყანას?

წრეულს მხოლოდ ოთხ კაცს დაუნიშნეს სტიპენდია და თითოეულს წლიურად მისცეს ხუთას-ოთხმოცი მანათი (580 მ.) ძალიან კარგი, მეტი ქონება ვის გადაუყრია, მაგრამ ერთის ყელთამდე ამაება და მეორის სიმშილით მოკვლა სადაური სამართალია, ბბ-ნნო კომისიის წევრებო?! უფრო ადამიანური და სასარგებლო საქციელი არ იქმნებოდა ოთხის მაგივრად რვისა და ათისათვის აღმოგეჩინათ დახმარება და თითოეულისათვის 200—300 მანათი დაგენიშნათ? მაგრამ, როგორცა სჩანს, სტიპენდიების გამნაწილებელ კომისიას არც სტუდენტების ცხოვრება სცოდნია და არც ქვეყნის წარმატებისათვის უზრუნვია, ამიტომ ჩემის მხრით ვუცხადებ პროტესტს ამ კომისიას და მოვითხოვ, რომ საზოგადოებამ დასდოს მას სამართლიანი მსჯავრი. იმედია, ამხანაგი სტუდენტებიც მიემხრობიან ამ ჩემ პროტესტს და გაზეთის საშუალებით გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ამ საგნის შესახებ.

ჩემის აზრით კი: 1. სტიპენდია უნდა დაენიშნოს ხოლმე ისეთ სტუდენტს (წოდებისა და სპეციალისტობის განურჩევლად), რომელიც უკვე ცნობილია, როგორც ბეჯითი და ამხანაგებისაგან პატივცემული, რომლის ფიზიონომიაც უკვე გამორკვეულია, რომელიც ქვეყნისათვის სამოღვაწეოდ ემზადება და არა მარტო დიპლომისათვის; 2. სტიპენდიას უნდა ანაწილებდნენ ისეთნი, რომლებიც კარგად იცნობენ ჩვენ ქვეყანას, იციან მის ძეთა ავ-კარგიანობა და არამც თუ ეზარებოდეთ თხოვნების გადაკითხვა, არამედ დღე და ღამ სულ იმის ზრუნვაში იყვნენ, რომ საზოგადოების ფული საზოგადოების სასარგებლოდვე იხარჯებოდეს; 3. დროა მოისპოს დახავსებული კანონები და საზოგადოებას მიენიჭოს ფართო კონტროლი და ხმა ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფერაში...

სტუდენტი ყაზანის უნივერსიტეტისა

**ია ეგაძიამე—ცინცამე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 აგვისტო

**რ უ ს ე თ შ ი.**

**აპატოვი.** ილეცკის მაზრის პოსად ტერლოვოში ათმა კაცმა გასძარცვა საარყე დუქანი. ძროლის დროს მოჰკლეს ორი საეროზო დარაჯი. მოკლული მძარცველის გვამი ამხანაგებმა ტომარაში ჩასდეს და წაიღეს,

**ჩანძავლი.** სტარო-კონსტანტინოვის მაზრის სოფ. გოლუნტაში თავს დაესხნენ მღვდლის სახლს, დანით დასჭრეს მედავითნე და ერთი გლეხი, მეორე გლეხს მუცელი გამოუფაშვეს.

**პეტერბურგი.** 16 აგვისტოს მეფე-დედოფალი შვილებითურთ „შტანდარტი“-თ გაემგზავრნენ ფინლიანდიის შხერებისაკენ. 19 აგვისტოს საზღვარ-გარედ გაემგზავრა სამხედრო მინისტრი რედიგერი.

**ხუმი.** საეროზო კრებაზე მემამულეებმა აირჩიეს მემარჯვენენი და ზომიერნი, სოფლელებმა—უპარტიონი.

**ჩერნიგოვი.** ორი უცნობი თავს დაეცა სტროდუბცევკის სადგურის უფროსს და სამის ტყვიით დასჭრეს.

**ვარშავა.** ნალევკაში როდლერის სახლის კარებთან ყუმბარა აფეთქდა. როდლერს წაღების სახელოსნო ჰქონდა. ამ დღეებში სახელოსნო გააუქმა და საზღვარ გარედ გაიქცა, რადგან ტერორისტებისა ეშინოდა.

**მოსკოვი.** დიაჩკოვის საბრილიანტო მაღაზიიდან, ლიკოლსკის ქუჩაზე, მოიპარეს 3500 მანეთის ძვირფასეულობა. ქურდებს ხის შკაფი გამოეხერხათ და თუმცა შკაფში 40,000 მანეთის ნივთი ყოფილა, მაგრამ მეტი ვერ გაეტანათ.

**კურსკი.** საგლეხო ბანკმა 6000 დესეტინა 255 სამოსახლოდ გაჰყო. სურს ამნაირათვე გაჰყოს კუშელევის მამული—2300 დესეტინა და სტოშინსკისა—1200 დესეტინა.

21 აგვისტო.

**ვილნა.** მეოთხე დღეა, რაც გაზის ქარხნის მუშები გაიფიცნენ. ქუჩებში წყვდიადია. ფოსტის კონტორასა და საგუბერნიო სტამბაში ნავთის ლამპებს ანთებენ. მუშები თხოულობენ 20% ხელფასის მომატებას და სამუშაო დღის შემოკლებას.

**ჩერნიგოვი.** კონოტოპის მაზრაში აღმოაჩინეს მძარცველთა ბრბო. დააპატიმრეს ათი კაცი.

**ეკატერინოსლავი.** საკომერციო სასწავლებელთან უმაღლეს კურსებს აარსებენ. კურსები იქმნება იურიდიული, ეკონომიური და კომერციული. შუამდგომლობენ კურსების საკომერციო აკადემიად გადასაკეთებლად.

**ვარშავა.** პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მეთაურებმა კონფერენცია გამართეს. პოლიციამ გაიგო კრების ადგილი და დააპატიმრა 19 კაცი. ნახეს დიდძალი არა ლეგალური ლიტერატურა და პარტიული მიწერ-მოწერა. დააპატიმრეს ჟანდარმის უნტერ-ოფიცრის ერთი მკვლელთაგანი.

**კოკანდი.** ღამე საპატიმროდან გაიპარა ორი პოლიტიკური და ექვსი სისხლის სამართლის ქვეშ მყოფი პატიმარი. უკანასკნელ რიცხვში ნიზოვიც ურევია. ნიზოვმა სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან 137,000 მანეთი მოიპარა. გაპარულთა შორის არის კიდევ ვიღაც უცნობი, რომელსაც «რკინის კაცს» ეძახდნენ. იმას აბრალებენ ს.-რევოლიუციონერების მებრძოლ ორგანიზაციის წევრობას.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრმა დაამტკიცა საპედაგოგიო აკადემიის წესდება. აკადემიას აარსებს პეტერბურგის განათლების ლიგა. აკადემიაში ორი წლის კურსი იქმნება, მიიღებენ უმაღლეს სწავლა დამთავრებულთაც. კურსები გაიხსნება ოქტომბერსა ან ნოემბერში.

**პიატიგორსკი.** შუაღამისას ტებლოსერნი ქუჩაზე ზურგში დასჭრეს საპატიმროს უფროსი სუროვეცკი, რომელიც ცოლითურთ თეატრიდან შინ ბრუნდებოდა. სუროვეცკი სიკვდილს გადაარჩინა სერთუკის რკინის ღილმა. ტყვია ღილს მოხვედრია და მიმართულება შეუცვლია.

**ლოძი.** ვისოკი ქუჩაზე პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს ერთი მუშა, მეორე დასჭრეს. ერთი თავდამსხმელი შეიპყრეს. სოფ. როინაში, ლოძის მახლობლად, მეკლესიის გვერდით, დასჭრეს ახალგაზდა კაცი. შპიცბერგის სავაჭროს სამი კაცი დაეცა. მოიტაცეს დღიური ხავაჭრო.

**ტომსკი.** ორმა კაცმა მოინდომა სატუსაღოდან განთავისუფლება ბიისკის ფოსტის მძარცველებისა. იმათი სახლი გაჩხრიკეს. იპოვნეს 14,000 მანეთი და რამდენიმე ოქრო.

**დონის-როსტოვი.** გაიქცა სამი კაცი, ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული. ისინი შუა ქალაქში თავს დაესხნენ კავკავის რკინის გზის მეარტელეს, რომელსაც 10,000 მანეთი მიჰქონდა. მეარტელე ცოცხალია, ფული უკლებადაა. თავდამსხმელნი დააპატიმრეს.

**კრონშტადტი.** პეტერბურგიდან მოვიდა უმილო სანაღმო ნავი. სანაღმო № 23 ნავს ამოძრავებს ინჟენერ მექანიკოსის შმიდტის სისტემის გაზ-ორთქლიანი ქვაბი, იწონის მხოლოდ 67 ფუთს. მეზღვაურები ძლიერ დაინტერესებულნი არიან ახალის, წმინდა რუსულის გამოგონებით. მოსალოდნელია, რომ ახალი გამოგონება დიდ ცვლილებას მოახდენს გემთშენების საქმეში.

**ბალტა.** მემამულეებმა მიწის მომწესრიგებელ კომისიას შეაძლიეს 30 მამული, ზომით 27,436 დესეტინა. კომისიამ იყიდა 8 მამული ზომით 23,946 დესეტინა.

**ჰელსინგფორსი.** ორი თვის შეწყვეტის შემდეგ სეიმის სხდომები კვლავ განახლდა.

**ორენბურგი.** სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს დერეფანში სამმა შეიარაღებულმა კაცმა სროლა აუტეხა ხაზინადარს. ხაზინადარი მოჰკლეს და წაართვეს პარკი, რომელშიაც 1900 მანეთი იყო. ერთი შეიპყრეს, ორი მიიმალა.

**უ ც ხ ო ე თ ი.**

20 აგვისტო.

**პარიჟი.** როგორც «ტანი» იუწყება, 15 აგვისტოს მაზაგანში მისულა მკვიდრთა 10 სახელოვანი წარმომადგენელი. ისინი მორიგების შესახებ შუამდგომლობენო.

სან-სებასტიონოდან მოსულ ცნობით, ესპანიის მთავრობას აზრადა აქვს, უკანვე დაიბაროს მაროკკოს ნაპირებთან მყოფი კრეისერები, რადგან ძლიერი ქარიშხალი არა ცხრება.

**მადჟენტა.** 19 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ავტომობილით მოდიოდნენ მარკიზ პალავიჩინი, ვექილი მალვანო, შოფერომი და მექანიკოსი. რკინის გზის სადგურის მახლობლად ავტომობილი ჯებირს დაეჯახა, გაანგრია და მიმავალ საქონლის მატარებელს ეცა. ბენზინის რეზერვარი გასქდა, ავტომობილი ნაფოტებად იქცა. მექანიკოსი შორს გადასტყორცნა, მაგრამ სრულიად უვნებელი გადარჩა, შოფერი მსუბუქად დაშავდა, მალვანო იქვე გარდაიცვალა, პალლავიჩინი საავადმყოფოში მიყვანისათანავე გარდაიცვალა.

**ტანჟერი.** ქალაქში უწინდებურად დიდი შიშია. ევროპიელნი ცოლ-შვილს სამშობლოში ისტუმრებენ.

**ჰააგა.** სამშვიდობო კონფერენცია, როგორც ამბობენ, 8 სექტემბრამდე გაგრძელდება. ოქმ ბს საბოლოოდ ხელს მოაწერენ 15 სექტემბერს.

**რომი.** იაპონიის კრეისერები «ტსუკუბა» და «ჩატოზე» ნეაპოლიდან წავიდნენ. წასვლის წინად ადმირალმა იჯუინმა საზღვაო მინისტრს მეგობრული დეპეშა გაუგზავნა.

21 აგვისტო

**თეირანი.** ათაბეგ-აზამის მკვლელმა ხანჯლით დასჭრა ჯარის კაცი, რომელმაც მისი დაჭერა მოინდომა და მერე გაიქცა როცა შეამჩნია სხვები დაეწეოდნენ, რევოლვერი პირში დაიხალა. ტყვია მეორე მხარეს გავიდა. იგი აღმოჩნდა სპარსეთის ქვეშევრდომი, ზარაფი აბბას-აღა. შეიპყრეს მისი თანამოაზრე. ამბობენ, რომ შეპყრობილმა მთელი საზოგადოება დაასახელა, რომელსაც ათაბეგის მოკვლა ჰქონდა განზრახულიო. მე მინდოდა გამეფრთხილებინა. მაგრამ მომზადებულ წერილის გარდაცემა ვერ მოვასწარიო. ბევრი კაცი დააპატიმრეს.

**პეკინი.** და წყდ საგანგებო თათბირი იმპერიის მდგომარეობის შესახებ. თათბირზე მოხუცმა დედოფალმა მიიწვია გავლენიანი წარმომადგენელნი საიმპერატორო გვარეულობისა. ძლიერ სურთ ხელი შეუწყონ მანჯურელების და ჩინელ ხალხის შეერთებას და ამის შესაფერ კანონ-პროექტებსაც ადგენენ. სხვათა შორის, მანჯურიის ჯარს გააუქმებენ. დედოფლის ჯანმრთელობას უარესობა ეტყობა. მიუხედავად ამისა, იგი ძლიერ გართულია ცენტრალურ მთავრობის განახლების საქმეში.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

უოველ დღე, კვირებს გარდა.

**დ ო ქ ტ ო რ ი:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ფ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ბეგლარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. ბუგიანოვი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ქ. ი. გედევანიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შხვერბანინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—135)

**თოფის ქარხანა**

**ი. ფ. პეტროვისა**

ვიატსკის გუბ., **იჟევსკი ქარხანა**

ჰყიდის ყოველგვარ სანადირო **თოფს, რევოლვერებს** და ნადირობისთვის საჭირო ნივთებს. თოფი **„ბერდანა“** საფანტისა, 9 მანეთად, კარგია ღარიბ მონადირესათვის. **ცეცხლის** გასალესი მაშინკა, კარგი და გამოსადეგი სოფლის მეურნისათვის, თითო 80 კაპეიკად, ორი შტუკა 1 მან. 50 კაპ., 10 ცალი 6 მან. 50 კაპ., პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ, ვაჭრებს და მაღაზიებს ფას-დაკლებით.

(Метцль и К°. 3280) (6—№ 3.—5)

**საბუხჰალტერო კურსები**

ივანე ზაქ.-მის ტერ-სტეფანოვისა,

რომელმაც გაათავა უმაღლესი საკომერციო კურსები, ორივე სქესისთვის. კური ღირს 45 მანეთი.

მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან, სწავლა 10 სექტემბრიდან. კუკია, 1 თუმანოვის ქუჩა, საკუთარი სახლი, №13

(2—251—2)

**წიგნის მაღაზია**

**„ნოვაია რეჩ“**

(ახალი სიტყვა)

გოლოვინის პროსპექტი. სახაზინო თეატრის პირდაპირ.

მიღებულია სახელმძღვანელოები

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყველა სასწავლებლებისათვის.

**მასწავლებლებს სახელმძღვანელოები 10% ნაკლებ დაეთმობათ.**

10—5.

უმორჩილესად ვთხოვ ყველა იმათ, ვისაც მიღებული ჰქონდა გასასყიდად პავლე აკობიას ბროშურები:

1. „ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია“.
2. „ბნელეთის ევოლიუცია, თავ-ემაკთ რევოლიუცია“.
3. „სისია“ (მეგრული ლექსთა კრებული.
4. სოციალ - დემოკრატიამ მოატყუა გლეხები“.

სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ქიათურაში, ყვირილაში, გორში, სურამში, ახალციხეში, თელავში, სიღნაღში, საგარეჯოში და ბაქოში.

გამოგზავნონ გაუყიდავი ბროშურები და გაყიდულის ფასები შემდეგის ადრესით: Тифлисъ—типографія „Идеалъ“.

(5—6—2)

**ნამდვილი კახური ღვინო**

ფირმა




საკუთარი ვენახებიდან

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—93)

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ქართული

**„დროების კალენდარი“**

**დამდეგი 1908 წლისათვის.**

**„დროების კალენდარი“ შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

აგრეთვე იბეჭდება და ვინც „დროების კალენდარს“ იყიდის, იმას პრემიად მიეცემა

**კედლის კალენდარი**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა. თითო ფურცელში თითო თვე იქნება მოქცეული და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.

„დროების კალენდარში“ დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა:** კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი—7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან. ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უფასოდ**

დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის“ რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა. **„კალენდრის“** გამომცემელს.